მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირების ინსტრუმენტი _ ანგარიშის ფორმა

<u>მიზანი</u> – მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება ოთხი სამიზნე ცნების (ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და კონტექსტის) მიმართებით.

მოსწავლის მიღწევათა დიაგნოსტირება

სკოლა: სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საგვიჩიოს საჯარო სკოლა

კლასი: 3

მოსწავლეთა რაოდენობა: 3

მასწავლებელი: ზაზა შულაია

1-ელი მოსწავლე

ანგარიშის ფორმა
რა უნდა მომხდარიყო? *(რა საკითხთან/ქვესაკითხი უნდა შეესწავლა მოსწავლეს?რა კომპლექსური დავალება უნდა გამოეყენებინა საკუთარი ცოდნის წარმოსაჩენად?)*
მოსწავლეებს უნდა დაეწერათ **„სპილოს წერილი ჭიანჭველებს“** შემდეგი პირობის მიხედვით: წარმოიდგინე, რომ ხარ იაკობ გოგებაშვილის იგავ-არაკის „სპილო და ჭიანჭველები“ პერსონაჟი, კერძოდ, სპილო და ნაწარმოებში მოთხრობილი ამბის შემდეგ წერილს სწერ ჭიანჭველებს, ამისათვის: ✔ მოირგე სპილოს როლი ჭიანჭველებისადმი მიწერილ წერილში; ✔ გამოკვეთე, რატომ, რა მიზნით გადაწყვიტე მისთვის წერილის მიწერა; ✔ წარმოაჩინე სპილოს გრძნობები. ასევე წარმოაჩინე, როგორ შეიცვლებოდა ის მომხდარის შემდეგ; ✔ დაიცავი წერილის <u>აგებულება</u> (მიმართვა, ძირითადი ნაწილი, ხელმოწერა), სასვენი ნიშნების ხმარების წესები.
რა მოხდა? *(რამდენად კარგად გაართვა მოსწავლემ თავი გამოწვევას ?)*მოცემულობა აღწერეთ მაქსიმალურად დეტალურად
მოსწავლემ წარმოადგინა წერილი შემდეგი პუნქტების დაკმაყოფილებით: ✔ წერილი დაწერილია სპილოს გადმოსახედიდან; ✔ ჩანს წერილის მიზანი, თუ რისთვის წერს სპილო წერილს;

✔ გამოჩნდა, როგორ შეიცვლებოდა სპილო მომხდარის შემდეგ; ✔ დაიცვა წერილის წერის სტრუქტურა, მეტწილად სწორად გამოიყენა სასვენი ნიშნები (წერტილი, მძიმე, ძახილის ნიშანი), მაგრამ **ვერ შეძლო** სიტყვების სწორად გადატანა.
რით შეიძლება აიხსნას სხვაობა მომხდარსა და დაგეგმილს შორის?
მნიშვნელოვანი განსხვავება არ ყოფილა.
თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს მომავალში სხვანაირად?
უნდა გაგრძელდეს მოსწავლის მოტივაციის ზრდა და აქცენტირება დავალების პირობაზე, რათა სრულად იყოს გააზრებული დავალება. მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს **სიტყვის გადატანის** წესებზე.
დამატებითი კომენტარი
მოსწავლის შესაძლებლობა გამოყენებული უნდა იყოს თანატოლთა ურთიერთსწავლისთვის.

მე-2 მოსწავლე

ანგარიშის ფორმა
რა უნდა მომხდარიყო? *(რა საკითხთან/ქვესაკითხი უნდა შეესწავლა მოსწავლეს?რა კომპლექსური დავალება უნდა გამოეყენებინა საკუთარი ცოდნის წარმოსაჩენად?)*
მოსწავლეებს უნდა დაეწერათ **„სპილოს წერილი ჭიანჭველებს“** შემდეგი პირობის მიხედვით: წარმოიდგინე, რომ ხარ იაკობ გოგებაშვილის იგავ-არაკის „სპილო და ჭიანჭველები“ პერსონაჟი, კერძოდ, სპილო და ნაწარმოებში მოთხრობილი ამბის შემდეგ წერილს სწერ ჭიანჭველებსს, ამისათვის: ✔ მოირგე სპილოს როლი ჭიანჭველებისადმი მიწერილ წერილში; ✔ გამოკვეთე, რატომ, რა მიზნით გადაწყვიტე მისთვის წერილის მიწერა; ✔ წარმოაჩინე სპილოს გრძნობები. ასევე წარმოაჩინე, როგორ შეიცვლებოდა ის მომხდარის შემდეგ; ✔ დაიცავი წერილის <u>აგებულება</u> (მიმართვა, ძირითადი ნაწილი, ხელმოწერა), სასვენი ნიშნების ხმარების წესები..
რა მოხდა? *(რამდენად კარგად გაართვა მოსწავლემ თავი გამოწვევას ?)*მოცემულობა აღწერეთ მაქსიმალურად დეტალურად
მოსწავლემ წარმოადგინა წერილი შემდეგი პუნქტების დაკმაყოფილებით: ✔ წერილი დაწერილია სპილოს გადმოსახედიდან; ✔ ჩანს წერილის მიზანი, თუ რისთვის წერს სპილო წერილს; ✔ გამოჩნდა, როგორ შეიცვლებოდა სპილო მომხდარის შემდეგ;

- ✔ დაიცვა წერილის წერის სტრუქტურა, მეტწილად სწორად გამოიყენა სასვენი ნიშნები (წერტილი, მძიმე, ძახილის ნიშანი), მაგრამ **ვერ შეძლო** სიტყვების სწორად გადატანა.

რით შეიძლება აიხსნას სხვაობა მომხდარსა და დაგეგმილს შორის?

მნიშვნელოვანი განსხვავება არ ყოფილა.

თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს მომავალში სხვანაირად?

უნდა გაგრძელდეს მოსწავლის მოტივაციის ზრდა და აქცენტირება დავალების პირობაზე, რათა სრულად იყოს გააზრებული დავალება. მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს **სიტყვის გადატანის** წესებზე.

დამატებითი კომენტარი

მოსწავლის შესაძლებლობა გამოყენებული უნდა იყოს თანატოლთა ურთიერთსწავლისთვის.

მე-3 მოსწავლე

ანგარიშის ფორმა

რა უნდა მომხდარიყო? *(რა საკითხთან/ქვესაკითხი უნდა შეესწავლა მოსწავლეს?რა კომპლექსური დავალება უნდა გამოეყენებინა საკუთარი ცოდნის წარმოსაჩენად?)*

მოსწავლეებს უნდა დაეწერათ **„სპილოს წერილი ჭიანჭველებს“** შემდეგი პირობის მიხედვით:
წარმოადგინე, რომ ხარ იაკობ გოგებაშვილის იგავ-არაკის „სპილო დაჭიანჭველები“ პერსონაჟი, კერძოდ, სპილო და ნაწარმოებში მოთხრობილი ამბის შემდეგ წერილს სწერ ჭიანჭველებს, ამისათვის:

- ✔ მოირგე სპილოს როლი ჭიანჭველებისადმი მიწერილ წერილში;
- ✔ გამოკვეთე, რატომ, რა მიზნით გადაწყვიტე მისთვის წერილის მიწერა;
- ✔ წარმოაჩინე ლომის გრძნობები. ასევე წარმოაჩინე, როგორ შეიცვლებოდა ის მომხდარის შემდეგ;
- ✔ დაიცავი წერილის <u>აგებულება</u> (მიმართვა, ძირითადი ნაწილი, ხელმოწერა); დასვი სასვენი ნიშნები.

რა მოხდა? *(რამდენად კარგად გაართვა მოსწავლემ თავი გამოწვევას ?)*მოცემულობა აღწერეთ მაქსიმალურად დეტალურად

მოსწავლემ წარმოადგინა წერილი შემდეგი პუნქტების დაკმაყოფილებით:

- ✔ წერილის ნაცვლად შექმნა მხატვრული ტიპის ტექსტი, რომელშიც გადმოსცა საკუთარი დამოკიდებულება მომხდარი ამბის შესახებ; ზოგიერთ ნაწილში გამოიყენა საყოფაცხოვრებო სტილი;
- ✔ ტექსტის მიზანი ბუნდოვანია, ინფორმაცია ზოგადია, თუ რისთვის წერს სპილო წერილს;

✔ მხატვრული ტექსტის წერის სტრუქტურა დაცულია, ასევე, ძირითადად, მართებულად გამოიყენა სასვენი ნიშნები (წერტილი, მძიმე, ძახილის ნიშანი), მაგრამ **ვერ შეძლო** სიტყვების სწორად გადატანა.
რით შეიძლება აიხსნას სხვაობა მომხდარსა და დაგეგმილს შორის?
მოსწავლემ ვერ განასხვავა ჟანრის სახეები. მისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა განზრახვის გარეშე დამახსოვრებული იგავ-არაკი,, სპილო და ჭიანჭველები“.
თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს მომავალში სხვანაირად?
უნდა გაგრძელდეს მოსწავლის მოტივაციის ზრდა და აქცენტირება დავალების პირობაზე, რათა სრულად იყოს გააზრებული დავალება. ასევე მეტად უნდა იყოს აქცენტები ქვეცენებებზე (აქტივობების დროს). მეტი დრო უნდა დაეთმოს **სიტყვის გადატანის** წესების სწავლებას.
დამატებითი კომენტარი
მოსწავლეს უნდა გავაცნოთ მხატვრული და არამხატვრული ჟანრი, ასევე - შესრულებული დავალებების საუკეთესო ვერსიები შედარებებისთვის.

<u>ანალიზი</u>

ტიპური პრობლემა	**პრობლემის აღწერა სათანადო მაგალითებით**	**იდენტიფიცირებული პრობლემის მნიშვნელობა**
1. ჟანრთა აღრევა	მოსწავლემ წერილის ნაცვლად შექმნა მხატვრული ტექსტი	მოსწავლისთვის რამდენადმე უცნობია ცნება „ჟანრი“
2. ლექსიკის სწავლის სტრატეგიები	მოსწავლემ ტექსტის ზოგიერთ ნაწილში გამოიყენა საყოფაცხოვრებო სტილი.	მოსწავლისთვის რამდენადმე უცნობია ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კერძოდ, მხატვრული და არამხატვრული ტექსტებისთვის დამახასიათებელი სტილი.
3. • **კლასის საერთო პრობლემა** მოსწავლეებისათვის უცნობია სიტყვის გადატანის წესები.	გადატანის წესის უცოდინარობა.	მოსწავლეებისათვის უცნობია **სიტყვის გადატანის წესები.** სასურველია, შეიქმნას **საგანმანათლებლო რესურსი,** რომელიც დაეხმარება მათ ამ საკითხის შესწავლაში

ცვლილებები, რომლებიც უნდა აისახოს მომდევნო წლის კურუკულუმში:

1. ჟანრებთან დაკავშირებით აქტივობების დაგეგმვა;.
2. მხატვრული და არამხატვრული სტილის შესახებ აქტივობის დამატება.
3. სიტყვის გადატანის წესების შესახებ ინფორმაცია მოსწავლეებს მიეწოდება სხვადასხვა ფორმით (საგანმანათლებლო რესურსის სახით).